ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №143

2013 წლის 11 დეკემბერი,
ქ. ბათუმი

„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვაკანტური სასწავლო კურსების წასაკითხად პროფესორ-მასწავლებელთა მოწვევის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 09 ივლისის №73-ე დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შევიდეს ცვლილება „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვაკანტური სასწავლო კურსების წასაკითხად პროფესორ-მასწავლებელთა მოწვევის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 9 ივლისის №73-ე დადგენილებაში და მას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„საგანმანათლებლო პროცესის საჭიროებიდან გამომდინარე, დასაშვებია საქართველოსა და უცხოეთში აღიარებული სპეციალისტის მოწვევა კონკურსის გარეშე, სტუმარი პროფესორის სტატუსით“.

2. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**